

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №34
2019 წლის 13 სექტემბერი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №66 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.122.016511, თარიღი 26/12/2018) და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

პაატა ახალაძე

დანართი №1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

თავი I

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	16 176,2	2 789,0	13 387,2	16 360,7	4 459,5	11 901,2	20 817,7	7 938,7	12 879,0
გადასახადები	3 309,2	0,0	3 309,2	2 829,0	0,0	2 829,0	9 981,3	0,0	9 981,3
გრანტები	8	2 789,0	5 652,4	9	4 459,5	5 506,2	7	7 938,7	1,2



	441,4			965,7			940,0		
სხვა შემოსავლები	4 425,6	0,0	4 425,6	3 566,1	0,0	3 566,1	2 896,5	0,0	2 896,5
ხარჯები	8 602,8	244,6	8 358,2	10 078,6	329,8	9 748,8	11 695,0	726,4	10 968,6
შრომის ანაზღაურება	1 960,0	71,6	1 888,4	2 182,3	72,3	2 109,9	2 201,5	78,6	2 122,9
საქონელი და მომსახურება	1 015,2	19,8	995,4	1 204,7	25,8	1 178,8	1 597,9	255,6	1 342,3
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	52,5	0,0	52,5	49,0	0,0	49,0
სუბსიდიები	4 143,7	68,0	4 075,7	5 202,2	68,0	5 134,2	5 913,1	69,5	5 843,6
გრანტები	1,1	0,0	1,1	11,7	0,0	11,7	12,2	0,0	12,2
სოციალური უზრუნველყოფა	899,4	5,1	894,3	981,2	3,8	977,4	1 052,1	3,8	1 048,3
სხვა ხარჯები	583,4	80,2	503,2	444,2	159,9	284,3	869,3	318,9	550,3
საოპერაციო საღდო	7 573,4	2 544,4	5 029,0	6 282,1	4 129,7	2 152,4	9 122,7	7 212,3	1 910,4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5 807,2	2 864,4	2 942,8	5 569,4	3 876,9	1 692,5	13 476,2	8 139,9	5 336,3
ზრდა	5 884,3	2 864,4	3 019,9	5 872,5	3 876,9	1 995,7	13 647,2	8 139,9	5 507,3
კლება	77,1	0,0	77,1	303,1	0,0	303,1	171,0	0,0	171,0
მთლიანი საღდო	1 766,1	-320,0	2 086,2	712,7	252,9	459,9	-4 353,5	-927,6	-3 425,9
ფინანსური აქტივების ცვლილება	1 727,4	-342,5	2 069,9	712,7	252,8	459,9	-4 353,5	-927,6	-3 425,9
ზრდა	2 069,9	0,0	2 069,9	712,7	252,8	459,9	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	2 069,3		2 069,3	712,7	252,8	459,9	0,0	0,0	0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



სხვა დებიტორული დავალიანებები	0,6	0,0	0,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	342,5	342,5	0,0	0,0	0,0	0,0	⁴ 353,5	927,6	3 425,9
ვალუტა და დეპოზიტები	342,5	342,5		0,0			0,0	0,0	0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	⁴ 353,5	927,6	3 425,9
ვალდებულებების ცვლილება	-38,8	-22,5	-16,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	38,8	22,5	16,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	38,8	22,5	16,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსულობები	16 253,3	2 789,0	13 464,3	16 663,9	4 459,5	12 204,3	25 342,2	8 866,3	16 475,8
შემოსავლები	16 176,2	2 789,0	13 387,2	16 360,7	4 459,5	11 901,2	20 817,7	7 938,7	12 879,0
არაფინანსური აქტივების კლება	77,1	0,0	77,1	303,1	0,0	303,1	171,0	0,0	171,0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	4 353,5	927,6	3 425,9
გადასახდელები	14525,9	3131,5	11394,4	15951,2	4206,7	11744,5	25342,2	8866,3	16475,8
ხარჯები	8602,8	244,6	8358,2	10078,6	329,8	9748,8	11695,0	726,4	10968,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	5884,3	2864,4	3019,9	5872,5	3876,9	1995,7	13647,2	8139,9	5507,3
ვალდებულებების კლება	38,8	22,5	16,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	1 727,4	-342,5	2 069,9	712,7	252,9	459,9	0,0	0,0	0,0

თავი II
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **20 817,7** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	16 176,2	2 789,0	13 387,2	16 360,7	4 459,5	11 901,2	20 817,7	7 938,7	12 879,0
გადასახადები	3 309,2	0,0	3 309,2	2 829,0	0,0	2 829,0	9 981,3	0,0	9 981,3
გრანტები	8 441,4	2 789,0	5 652,4	9 965,7	4 459,5	5 506,2	7 940,0	7 938,7	1,2
სხვა შემოსავლები	4 425,6	0,0	4 425,6	3 566,1	0,0	3 566,1	2 896,5	0,0	2 896,5



მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 9 981,3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	3 309,2	0,0	3 309,2	3 200,0	0,0	3 200,0	9 981,3	0,0	9 981,3
დღგ								7881,3		7 881,3
საშემოსავლო გადასახადი		839,7		839,7	800,0		800,0	0,0		
ქონების გადასახადი	113	2 469,5	0,0	2 469,5	2 400,0	0,0	2 400,0	2 100,0	0,0	2 100,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	1 854,6		1 854,6	1 900,0		1 900,0	1 500,0		1 500,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	-4,1		-4,1	0,0			0,0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	16,0	0,0	16,0	12,0	0,0	12,0	10,0	0,0	10,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	3,0		3,0	1,0		1,0	1,0		1,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	13,0		13,0	11,0		11,0	9,0		9,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	189,0	0,0	189,0	200,0	0,0	200,0	190,0	0,0	190,0
ფიზიკური პირებიდან	1131141	137,7		137,7	150,0		150,0	140,0		140,0
იურიდიული პირებიდან	1131142	51,4		51,4	50,0		50,0	50,0		50,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	413,9	0,0	413,9	288,0	0,0	288,0	400,0	0,0	400,0
ფიზიკური პირებიდან	1131151	44,6		44,6	25,0		25,0	50,0		50,0
იურიდიული პირებიდან	1131152	369,3		369,3	263,0		263,0	350,0		350,0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7940.0 ათასი ლარის ოდენობით



დასახელება	კოდი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	8 441,4	2 789,0	5 652,4	9 965,7	4 459,5	5 506,2	7 940,0	7 938,7	1,2
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	131	0,0			1,2		1,2	1,2		1,2
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	8 441,4	2 789,0	5 652,4	9 964,5	4 459,5	5 505,0	7 938,7	7 938,7	0,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	5 822,4	170,0	5 652,4	5 675,0	170,0	5 505,0	170,0	170,0	0,0
გათანაბრებითი ტრანსფერი		5 652,4		5 652,4	5 505,0		5 505,0	0,0		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		170,0	170,0		170,0	170,0		170,0	170,0	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	2 619,0	2 619,0	0,0	4 289,5	4 289,5	0,0	7 768,7	7 768,7	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		2 619,0	2 619,0		3 987,7	3 987,7		5 740,4	5 740,4	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		0,0			0,0			704,0	704,0	
სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსება		0,0			22,2	22,2		1 034,3	1 034,3	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები		0,0			279,6	279,6		290,0	290,0	

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **2896,5** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2017 წლის ფაქტი		2018 წლის ფაქტი		2019 წლის ბიუჯეტის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის		მათ შორის	
		სახელმწიფო		სახელმწიფო		სახელმწიფო	



		სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	4 425,6	0,0	4 425,6	3 566,1	0,0	3 566,1	2 896,5	0,0	2 896,5
შემოსავლები საკუთრებიდან	141	650,9	0,0	650,9	708,7	0,0	708,7	409,7	0,0	409,7
პროცენტები	1411	269,9		269,9	290,7		290,7	189,7		189,7
დივიდენდები	1412	0,0			0,0			0,0		
რენტა	1415	381,0	0,0	381,0	418,0	0,0	418,0	220,0	0,0	220,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	329,6		329,6	385,4		385,4	200,0		200,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	51,3		51,3	32,6		32,6	20,0		20,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	3 466,5	0,0	3 466,5	2 023,6	0,0	2 023,6	1 260,0	0,0	1 260,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	3 401,7	0,0	3 401,7	1 969,5	0,0	1 969,5	1 190,0	0,0	1 190,0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	62,8		62,8	37,9		37,9	40,0		40,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0,0			0,6		0,6	0,0		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	3 190,0		3 190,0	1 750,0		1 750,0	1 000,0		1 000,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	148,9		148,9	181,0		181,0	150,0		150,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	64,9	0,0	64,9	54,1	0,0	54,1	70,0	0,0	70,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	64,9		64,9	54,1		54,1	70,0		70,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	274,7		274,7	782,1		782,1	1 188,7		1 188,7
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	0,0			5,0		5,0	4,3		4,3
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	33,5		33,5	46,6		46,6	33,8		33,8



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 11 695,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	8 602,8	244,6	8 358,2	10 078,6	329,8	9 748,8	11 695,0	726,4	10 968,6
შრომის ანაზღაურება	1 960,0	71,6	1 888,4	2 182,3	72,3	2 109,9	2 201,5	78,6	2 122,9
საქონელი და მომსახურება	1 015,2	19,8	995,4	1 204,7	25,8	1 178,8	1 597,9	255,6	1 342,3
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	52,5	0,0	52,5	49,0	0,0	49,0
სუბსიდიები	4 143,7	68,0	4 075,7	5 202,2	68,0	5 134,2	5 913,1	69,5	5 843,6
გრანტები	1,1	0,0	1,1	11,7	0,0	11,7	12,2	0,0	12,2
სოციალური უზრუნველყოფა	899,4	5,1	894,3	981,2	3,8	977,4	1 052,1	3,8	1 048,3
სხვა ხარჯები	583,4	80,2	503,2	444,2	159,9	284,3	869,3	318,9	550,3

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 13 476,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 13 647,2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ.კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ბიუჯეტის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	66,1	65,6	183,4
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,1	2,1	1,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5 090,7	5 227,8	11 826,6



04 00	განათლება	551,4	230,3	1 164,5
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	149,9	342,7	460,7
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	25,2	4,1	11,1
	სულ	5 884,3	5 872,5	13 647,2

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 171.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 წლის	2018 წლის	2019 წლის ბიუჯეტის
	ფაქტი	გეგმა	პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	77,1	303,1	171,0
ძირითადი აქტივები	32,744	177,4	70,0
არაწარმოებული აქტივები	44,368	125,7	101,0
მიწა	44,368	125,7	101,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 575,5	0,0	2 575,5	2 909,9	0,0	2 909,9	3 270,3	0,0	3 270,3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 575,5	0,0	2 575,5	2 909,9	0,0	2 909,9	3 244,6	0,0	3 244,6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 575,5	0,0	2 575,5	2 909,9	0,0	2 909,9	3 079,8	0,0	3 079,8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	164,8	0,0	164,8



7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	4,3	0,0	4,3
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	21,5	0,0	21,5
702	თავდაცვა	99,6	92,8	6,8	105,6	101,1	4,5	105,6	100,8	4,8
704	ეკონომიკური საქმიანობა	4 810,2	2 737,0	2 073,2	5 104,3	3 869,3	1 235,0	9 739,8	6 074,1	3 665,8
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	19,9	0,0	19,9	61,7	0,0	61,7	673,6	638,4	35,1
70421	სოფლის მეურნეობა	19,9	0,0	19,9	61,7	0,0	61,7	673,6	638,4	35,1
7045	ტრანსპორტი	4 427,9	2 737,0	1 690,9	4 701,4	3 869,3	832,1	8 616,4	5 435,6	3 180,7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4 427,9	2 737,0	1 690,9	4 701,4	3 869,3	832,1	8 616,4	5 435,6	3 180,7
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	362,3	0,0	362,3	341,2	0,0	341,2	449,9	0,0	449,9
705	გარემოს დაცვა	617,2	0,0	617,2	794,3	0,0	794,3	927,5	0,0	927,5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	603,2	0,0	603,2	786,8	0,0	786,8	902,5	0,0	902,5
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	13,9	0,0	13,9	7,5	0,0	7,5	25,0	0,0	25,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 695,9	206,2	1 489,7	2 069,7	165,3	1 904,4	4 500,7	1 562,5	2 938,2
7061	ბინათმშენებლობა	350,1	0,0	350,1	512,9	159,9	353,1	1 268,5	829,2	439,3
7063	წყალმომარაგება	214,0	115,2	98,8	56,9	0,0	56,9	455,5	0,0	455,5
7064	გარე განათება	367,6	0,0	367,6	400,9	0,0	400,9	415,4	0,0	415,4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო- კომუნალურ მეურნეობაში	764,2	91,0	673,2	1 099,0	5,4	1 093,5	2 361,4	733,4	1 628,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	68,0	68,0	0,0	70,1	68,0	2,1	99,4	69,5	29,9
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	68,0	68,0	0,0	70,1	68,0	2,1	99,4	69,5	29,9
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 463,4	0,0	1 463,4	1 632,2	0,0	1 632,2	1 856,3	0,0	1 856,3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	373,0	0,0	373,0	373,1	0,0	373,1	515,4	0,0	515,4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	914,9	0,0	914,9	1 008,8	0,0	1 008,8	1 129,5	0,0	1 129,5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი	89,4	0,0	89,4	100,0	0,0	100,0	100,0	0,0	100,0



	საქმიანობა									
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	86,1	0,0	86,1	150,3	0,0	150,3	111,4	0,0	111,4
709	განათლება	1 990,1	0,0	1 990,1	2 013,6	0,0	2 013,6	3 472,8	1 056,5	2 416,3
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 990,1	0,0	1 990,1	2 013,6	0,0	2 013,6	2 412,3	0,0	2 412,3
7092	ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	1 060,5	1 056,5	4,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	1 060,5	1 056,5	4,0
710	სოციალური დაცვა	1 167,2	5,0	1 162,2	1 251,4	3,0	1 248,4	1 369,6	2,9	1 366,7
7104	ოჯახებისა და ზავების სოციალური დაცვა	88,2	0,0	88,2	95,3	0,0	95,3	100,0	0,0	100,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	886,9	5,0	881,9	1 001,0	3,0	998,0	1 089,2	2,9	1 086,3
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	192,2	0,0	192,2	155,0	0,0	155,0	180,4	0,0	180,4
	სულ	14 487,2	3 109,0	11 378,1	15 951,2	4 206,7	11 744,5	25 342,2	8 866,3	16 475,8

თავი IV

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო – 4353,5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 4353,5 ათასი ლარის ოდენობით.

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა – 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება – 4353,5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება – 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილების კლება – 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილების კლება – 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 14.8 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 170.0 ათასი ლარი, მიიღმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 69,5 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 97,6 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 2,9 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;



- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- მოქალაქეთა ჩართულობა.

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019 – 2022 წლებისათვის, პროგრამები და ქვეპროგრამები

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 3270,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 01 00)

პრიორიტეტის მიზანია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ პროგრამებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, კადრების გადამზადებასა და მოქალაქეთა ჩართულობას.

1.1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო – 828,2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 01 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მმართველობითი სფერო მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის.

1.2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია – 2251,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 01 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მმართველობითი სფერო მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის.

1.3. წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა – 4,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 01 04)

პროგრამის ფარგლებში მოხდება წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა.

1.4. კადრების გადამზადება – 21,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 01 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თანამშრომლების გადამზადება კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

1.5. მოქალაქეთა ჩართულობა – 150,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 01 06)

პროგრამის მიზანი: საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი საპროექტო ინიციატივები: „უსაფრთხო ქუჩა“ – ნინოშვილის ქუჩაზე სიჩქარის შემამცირებელი საგზაო ბორდიურების მოწყობა; „საზოგადოებრივი მეგობრის ქუჩა“ – ჯავახიშვილის ქუჩაზე დახურული ფანჩატურის მოწყობა; „საზოგადოებრივი მეგობრის ქუჩა“ – შევჩენკოს ქუჩაზე დახურული ფანჩატურის მოწყობა; „იმედის მოედანი“ – ლორთქიფანიძის, ყაზბეგის ხვამლიის ქუჩების კვეთაზე მინი სპორტული მოედნის მოწყობა; „უსაფრთხო ქუჩა“ – შარტავას ქუჩაზე სიჩქარის შემამცირებელი საგზაო ბორდიურების მოწყობა; „საზოგადოებრივი მეგობრის ქუჩა“ – 26 მაისის ქუჩაზე დახურული ფანჩატურის მოწყობა; „საზოგადოებრივი ქუჩა“ – ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე დახურული ფანჩატურის მოწყობა; „ცეროდენა“ – თამარ მეფის ქუჩაზე სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების სივრცის მოწყობა; „გასართობი სივრცე წყალტუბოს მომავალი თაობისათვის“ – 9 აპრილის ქუჩაზე №11 და №13 ბინების მიმდებარე ტერიტორიაზე მომავალი თაობისათვის გასართობი სივრცის მოწყობა; „ჩვენი ეზო ჩვენი“ – გოგებაშვილის №2 ბინის წინ სკვერის მოწყობა; „ჩვენი ეზო ჩვენი სახლია“ – ტაბიძის 1ა ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე საფეხბურთო მოედნის ირგვლივ სივრცის მოწყობა; „ფანჩატური წყაროზე“ –



ევდომვილის ქუჩაზე წყაროს მიმდებარედ ფანჩატურის მოწყობა; „ფანჩატური ტაბიძე“ – ტაბიძე №11 ბინის წინ ფანჩატურის მოწყობა; „საბავშვო სკვერი ტაბიძე“ – ტაბიძე №7 ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე საბავშვო სკვერის მოწყობა; „ერთად ყოფნა გაგვადლიერებს“ – გურამიშვილის №2 მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ფანჩატურის რეაბილიტაცია; „მშვენიერებისა და გაჯანსაღების კერა“ – გურამიშვილის №4 კორპუსთან სპორტული მოწყობილობების – ტრენაჟორების მოწყობა; „სკვერი ჩვენი ეზო“ – თბილისის ქუჩა №4 მიმდებარე ტერიტორიაზე გასართობი სივრცის მოწყობა; სკვერი ჭავჭავაძე“ – ჭავჭავაძის ქუჩაზე ამორტიზირებული სკვერის განახლება; „სკვერი ჩვენს ბავშვებს“ – ბესიკის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე №4 და №2 კორპუსებს შორის სკვერის მოწყობა.

2. თავდაცვა და საგანგებო სიტუაციების მართვა – 105,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

2.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა – 105,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვა, წვევამდელთა შეკრება და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 14 723,1 ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის სრული გამოყენება, ურბანული განვითარება და ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელ უბნებში ეზოების კეთილმოწყობა და საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

3.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა – 8 555,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანია: საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში რეაბიტირებული იქნება შემდეგი გზები სოფ. ბანოჯა მე-15 ქუჩა 1,2 კმ; სოფელ საყულიაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზა, იმერეთის ქუჩის გაგრძელება, სოფ. ბანოჯა მე-20 ქუჩა 0,75 კმ; სოფ. გუმბრა მე-12 და მე-13 უბნთან მისასვლელი გზები 0,22 კმ; სოფელი ხომული ველგრძელას გზა 1,0 კმ. ასევე რეაბილიტირებული იქნება ჭოლევის ხიდი, სოფ. ტყაჩირში მდინარე რიონზე გადასასვლელი ხიდი, სოფ. ტყაჩირში ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რეგიონალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების, კერძოდ საავტომობილო გზების, ტროტუარებისა და ხიდების მოწყობის საგარანტიო თანხები.

პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში ჟორჟოლიანების უბანში, სოფელ ფარცხანაყანეში რეხის ტყის უბანში, ქალაქ წყალტუბოში თამარ მეფის ქუჩაზე №1-3-9-11-12-13-15-18 საცხოვრებელ კორპუსებთან მისასვლელ გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა. ასევე მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეში ნ. ლორთქიფანიძის სახლ მუზეუმთან მისასვლელი გზის, სოფელ მაღლაკში ჟორჟოლიანების უბანში, სოფელ ფარცხანაყანეში რეხის ტყის, სოფლების ოფშკვითისა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის, ქ. წყალტუბოში გურამიშვილის ქ. №2, დედა ენის ქ. №1, ბესიკის ქ. №8 საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზის, სოფელ ოფურჩხეთში (აბაზაძეების) უბანი და სოფელ ხომულში (დუქნისწყაროს უბანში) გზების, სოფელ გვიშტიბში (შვანგირაძეების უბანში), სოფელ მაღლაკში მე-17 ქუჩის, სოფელ პატრიკეთში შენგელიების და გუბელაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; ქალაქ წყალტუბოსა და წყალტუბოს



მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების შეკეთებისათვის მზა ბეტონის შეძენა; ქვიტირში მე-14 ქუჩის (კორეის უბანი) გზის ჰიდრავლიკური შემკვრელი მასალებით რეაბილიტაცია და ქვიტირში მე-12 ქუჩის (ჩიტეიშვილების უბანი) გზის ჰიდრავლიკური შემკვრელი მასალებით რეაბილიტაცია. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი კამერების მიმანიშნებელი აზრების მოწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების სორმონისა და ჭოლევის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; ცენტრალურ სტადიონთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია; სოფ. ცხუნკურში მზა ბეტონის შეძენა; სოფელ საყულიაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში შენგელიების უბანში გზის დარჩენილი ნაწილის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში მე-12 და მე-13 ბინებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. ქალაქ წყალტუბოში კოლხეთის ქუჩის №25, №27, №29 და №31 ბინებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით და ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილისა და ლერმონტოვის ქუჩის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ წყალტუბოს ქუჩებში სიჩქარის შემზღუდავი ბორცვების და ქალაქ წყალტუბოს შესასვლელთან ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს საინფორმაციო ფირნიშის მოწყობა.

3.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა – 3740,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, გარე ფასადების მოწესრიგება, მაწანწალა ცხოველების იზოლირება, წყლის სისტემების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება. დაფინანსდება არსებული გარე განათების ქსელის შედეგად მოხმარებული ელ. ენერგიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკის მიმდებარედ შადრევნების წყლის ხარჯის ანაზღაურება.

3.2.1. სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 673,9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ გვიშტიბში დევნილთა გრძელვადიანი განახლების ობიექტის მიმდებარედ წყალგამტარი არხის მოწყობის საგარანტიო.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქ წყალტუბოში, ნინოშვილისა და ავალიანის ქუჩებზე სანიაღვრე არხისა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგების სამუშაოები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთში, სოფელ ოფშკვითში, სოფელ წყალტუბოში მე-8 ქუჩის I ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა-რეაბილიტაცია და ქალაქ წყალტუბოში ევდოშვილისა და ხანძთელის ქუჩებზე არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა და ბეტონის კედლების მოწყობა.

3.2.2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ღონისძიებები – 902.5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების გატანა. დაფინანსდება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები.

3.2.3. შენობების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა – 1268,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია,



რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, გამნათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენა, პარაპეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე ფასადების მოწესრიგება გ. ტაბიძისა და ი. ჭავჭავაძის ქუჩებზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რეგიონალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების, კერძოდ სარეაბილიტაციო სამუშაოების საგარანტიო თანხები. ასევე ცენტრალურ პარკში, არსებული საპირფარეშოს შეკეთება და 2018 წლის 30 ნოემბერი – 1 დეკემბერი პერიოდში მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება. ასევე განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში რუსთაველის ქუჩაზე არსებული პასაჟის რეკონსტრუქციის სამუშაოები და სოფ. ცხუნკურის ადმინისტრაციული შენობის გადახურვა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული ოფისის მშენებლობა. ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელებში მექვენაში, დღნორისაში, მაღლაკში, მუხიანში, ოფშკვითში და ფარცხანაყანევში საექიმო ამბულატორიის სარემონტო სამუშაოები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების, სკოლების და სხვა შენობების სახურავების შეკეთების სამუშაოები.

3.2.4. წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია – 455,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალური პარკის მიმდებარედ შადრევნების წყლის ხარჯი.

ასევე მოხდება მუნიციპალიტეტის სოფელებში წყლის სისტემების რეაბილიტაცია, კერძოდ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში, სოფელ თერნალში სვანებისა და უგლავეების უბანში, ქვილიშორში, ყუმისთავში, ცხუნკურში, ხომულში, ბანოჯაში, სოფ. წყალტუბოში, ჯიმასტაროში, სოფ. თერნალში, გუმბრაში, მაღლაკში სვანების დასახლებასა და სოფ. გვიშტიბში.

ასევე მოხდება მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში მე-14 ქუჩაზე სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სადგურ ბროწეულას დასახლებაში საკანალიზაციო საქაჩი მრავის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სოფელ გეგუთში ვარციხჭესის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადრენაჟე და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ცენტრალური პარკის ცენტრალური შადრევნის წყალმომარაგების ქსელზე ახალი მიერთება და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში დაზიანებული ფეკალური მასების გადამქაჩი ტუმბოს ელ. მრავის დემონტაჟი და ორი ტუმბოს მონტაჟის სამუშაოები.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზარათში დაზიანებული სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისათვის სხვადასხვა მასალების შეძენა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ გუმბრაში ჭის მოწყობა.

3.2.5. გარე განათება – 415,4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ქსელის შედეგად მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულება და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციაზე გარე განათების ქსელის დაერთება.

ასევე მოხდება სოფელ ხომულში მე-18 ქუჩის, მე-4 ჩიხსა და დღნორისის თემში გარე განათების სისტემის მოწყობა.



3.2.6. მაწანწალა ძაღლების იზოლირება – 25.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მაწანწალა ცხოველების იზოლირება, რითიც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

3.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები – 927,2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ დაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში მოხდება ჭავჭავაძის, მის გაგრძელებასა და ტაბიძის ქუჩაზე მოსაცდელის მოწყობა. ასევე სოფ. გუმბრასა და ქალაქ წყალტუბოში ორი ლოკაციაზე მოსაცდელის მოწყობა.

3.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – 733.4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.

3.5. საპროექტო დოკუმენტაცია და საექსპერტო მომსახურება – 270,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

ასევე პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური პარკის განვითარების კონცეფციის შექმნა და აბრის კონკურსის გამარჯვებულის დაფინანსება.

3.6. საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება – 496,7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება.

4. განათლება – 3472,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

4.1. საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსება – 2412,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 01)

